დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის

მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ლარისა პატარაია, კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია "Start - Business Solutions", საქართველო

დავით მაკასარაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2020

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	206046045
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N31, თბილისი 0144, საქართველო
ვებ-გვერდი	http://thu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	02.12.2019, №43
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	02.12.2025

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	10
ბაკალავრიატი	6
მაგისტრატურა	-
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	6
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	3

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			730
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	622	331	-
ბაკალავრიატი	228	245	-
მაგისტრატურა	-	-	-
ერთსაფეხურიანი	384	74	-
დოქტორანტურა	-	-	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	10	12	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	422	215	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	124
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	77
- პროფესორი	29
- ასოცირებული პროფესორი	44
- ასისტენტ პროფესორი	1
- ასისტენტი	3
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	28
- აფილირებული პროფესორი	14
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	11
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	-
- აფილირებული ასისტენტი	3
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	20
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	45

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	5 405.99 კვ. მ.
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1740.1 კვ. მ.
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	19.89 კვ. მ.

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 9 და 10 ივლისს. ვიზიტის საფუძველი იყო შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, 2020 წლის 27 მაისის №108/01 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №411890) წარმოდგენილი განაცხადი სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის №21 სხდომის ოქმში ასახული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

მონიტორინგის ვიზიტის მიზანი იყო შეფასება იმისა, თუ როგორ შეასრულა ინსტიტუციამ 2019 წლის 2 დეკემბრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ავტორიზაციის მე-3, მე-4 და მე-6 სტანდარტებში გაცემული რეკონდაციები. .

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 2020 წლის 19 ივნისის, №493005 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინსტიტუციის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტები, ჩაატარა ინტერვიუები დღის წესრიგით შეთანხმებულ სამიზნე ჯგუფებთან და შეაფასა დაწესებულების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ქმედებები და მათი შედეგები იმ რეკომენდაციებთან მიმართებით, რომლებიც გაცემულ იქნა 2019 წელს ავტორიზაციის ვიზიტის დროს. შეფასება ძირითადად განხორციელდა ავტორიზაციის მე-3, მე-4 და მე-6 სტანდარტებთან მიმართებით გაცემული რეკონდაციების შესრულების ნაწილში. შესაბამისად, ინსტიტუციის შესაბამისობა ავტორიზაციის სხვა სტანდარტებისა თუ სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნებთან მიმართებით განხორციელდა მხოლოდ ზოგადი სურათის დანახვის მიზნით. მთლიანობაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2019 წელს გაცემული იყო 73 რეკომენდაცია, მათ შორის მე-3, მე-4 და მე-6 სტანდარტებთან მიმართებით 37 რეკომენდაცია (№18-30 რეკომენდაციები მე-3 სტანდარტთან, №31-44 - მე-4 სტანდარტთან, ხოლო №58-69 - მე-6 სტანდარტთან მიმართებით. აღნიშნული რეკომენდაციებიდან 3 შეფასდა როგორც სრულად შესრულებული, 7 - მეტწილად შესრულებული, 25 - ნაწილობრივ შესრულებული და 2 - არ არის შესრულებული.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გამოთხოვილ იქნა გარკვეული დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა შეფერხების გარეშე.

გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ვიცე რექტორთან, რექტორის მრჩეველთან, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან, ძირითადი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, დეკანებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ასევე, განხორციელდა მატერიალური რესურსების დათვალიერება. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, სამედიცინო მიმართულებით ტექნოლოგია და ლაბორატორიები, აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორია.

შეთანხმებული დღის წესრიგის მიუხედავად გასაუბრება ვერ შედგა რექტორთან, აკადემიური საბჭოს ერთ წევრთან, კვლევებისა და განვითარების ცენტრის უფროსთან, სამ დამსაქმებელთან, ორ პროგრამის ხელმძღვანელთან (მათ შორის ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის პროგრამის), ოთხ აკადემიურ პერსონალთან, ორ მოწვეულ პერსონალთან, ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტთან. შეფასების მიზნებისთვის მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა კვლევებისა და განვითარების ცენტრის უფროსთან და ინგლისურენოვანი პროგრამის ხემძღვანელთან და სტუდენტთან. ექსპერტთა ჯგუფმა თხოვნით მიმართა დაწესებულებას აღნიშნული პირების ინტერვიურების პროცესში ჩართვა, თუმცა ვერ იქნა უზრუნველყოფილი.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს შეუქმნა დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის შესაბამისი სამუშაო გარემო. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, თანამშრომლობით ატმოსფეროში.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: 22-24 ოქტომბერი, 2019 ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: _____	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
3. საგანმანათლებლო პროგრამები	
3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება 18. მთავარი ინდიკატორი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, სხვა შემთხვევაში ეს გაზრდის შანსებს, რომ სტუდენტები დარჩენენ უმუშევრები ან იმუშაონ სხვა სფეროში, სადაც მათ არ აქვთ კვალიფიკაცია. 19. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება შეიძლება ახალი საგნების დამატებით, რომლებიც ინგლისურ ენაზე შეიძლება ისწავლებოდეს და ასევე, ევროპულ ენებზეც, ასევე, უნდა გაიზარდოს ბიუჯეტი ასეთი აქტივობებისთვის. 20. უფრო ხშირადაა ჩასატარებელია ბაზრის კვლევა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და პროგრამების ადაპტირება ბაზრის კვლევასთან. 21. საჭიროა უფრო მეტი სიცხადე თჰსუ-ში არსებულ განმარტებებთან დაკავშირებით სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების, ასევე, პროგრამების შეწყვეტის შესახებ.	რეკომენდაციები 18 და 20 ნაწილობრივ შესრულებულია. შრომის ბაზრის კვლევა ბოლო პერიოდში განხორციელდა მხოლოდ ერთ პროგრამასთან მიმართებით - ბიზნენის ადმინისტრირების პროგრამა, რომლის განხორციელების დაწყებასაც აპირებს დაწესებულება. სხვა პროგრამებზე ბაზრის კვლევის განხორციელება მხოლოდ დაგეგმვის ფაზაშია. რეკომენდაცია 19 მეტწილად შესრულებულია. შემდეგი სემესტრიდან ბიზენის ადმინისტრირების პროგრამას ემატება არჩევითი უცხოენოვანი საგნები. ინტერვიუებისას გაირკვა, რომ სამართლის ფაკულტეტზე სამომავლოდ იგეგმება ინგლისურენოვანი მოდულის დამატება, თუმცა ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა. 2019 წლის ბიუჯეტში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაისათვის გათვალისწინებულია 27000 ლარი (დანართი 14, პ. 1.21) რეკომენდაცია 21 ნაწილობრივ შესრულებულია. უნივერსიტეტმა დოკუმენტურად გამართა და სტანდარტებს შეუსაბამა პროგრამების შეწყვეტისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მიუხედავად ამისა, ვიზიტისას გამოვლინდა რიგი შემთხვევები პროგრამაში ცვლილების შეტანის, რომლებშიც დოკუმენტში აღწერილი ყველა მხარე არ იყო ჩართული, რაც გადაწყვეტილებების გამჭირვალობას, შესაძლოა, ეჭვქვეშ აყენებდეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ პროგრამაზე

	(ტურიზმი, ფარმაცია და ფსიქოლოგია) ფიქსირდება სტუდენტების დაბალი მაჩვენებლი, რაც პროგრამის ფინანსურ მდგრადობას ეჭვქვეშ აყენებს.
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 22. უცხო ენების სწავლება უკეთესად უნდა იყოს ორგანიზებული იმისათვის, რომ მოხდეს სამიზნე ნიშნულების მიღწევა. 23. უფრო დეტალური მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს იმისათვის, რომ შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები და სასწავლო მასალა სპეციალური განათლების საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, ხოლო ამ ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს აკადემიურ პერსონალში. 24. რეკომენდებულია, რომ ხელმისაწვდომი მონაცემები სტუდენტების სასწავლო პროგრესის შესახებ სისტემატიურად იყოს გამოყენებული, რათა იდენტიფიცირებული იყოს პრობლემები და მოხდეს მათი განვითარება. 25. სასწავლო მასალა უნდა იყოს განახლებული უახლეს გამოცემებთან მიმართებით იმისათვის, რომ სტუდენტები იყვნენ უზრუნველყოფილნი თანამედროვე მასალებით. 26. უნდა შემუშავდეს საბაკალავრო და სამაგისტრო თეზისების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უფრო დეტალური და ნათელი რეგულაციები. 27. უნდა ჩატარდეს აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები, რათა ისწავლონ ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება. 28. სისტემატიური და ცხადი მიდგომა უნდა შემუშავდეს რათა მოხდეს კვლევითი აქტივობების გაძლიერება და მათი ინტეგრირება, როგორც სასწავლო პროგრამეში, ასევე, პერსონალის აკადემიური განვითარების მიმართულებით. 29. უნდა მოხდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის თარგმნა აქტივობებში და დაინერგოს მობილობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის.	რეკომენდაცია 22 ნაწილობრივ არის შესრულებული. უნივერსიტეტმა გადადგა ნაბიჯები უცხოენოვანი მოდულების შემოღებით მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე. ასევე, დანერგა ინგლისური ენის კურსები პერსონალისათვის. სხვა პროგრამების სილაბუსების გადახედვა ან ცვლილება არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ ვერ მოხერდა დღის წესრიგით გათვალისწინებული გასაუბრება ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტთან. რეკომენდაცია 23 მეტწილად შესრულებულია. უნივერსიტეტმა განაახლა და დახვეწა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა პერსონალთან შესაბამისი შეხვედრები არ ჩატარებულა. დაწესებულება გეგმავს ამ საკითხზე მუშაობას. რეკომენდაცია 24 ნაწილობრივ არის შესრულებული. სასწავლო უნივერსიტეტი ყოველი სემესტრის დასრულებისას ატარებს აკადემიური მოსწრების ანალიზს, თუმცა არ არის ცხადი, როგორ იყენებს მას პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი აღმოფხვრისათვის. აღსანიშნავია, რომ ჩაჭრების მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში მაგალითად, მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკავრო პროგრამაზე გადავიდა არჩევით ბლოკში, ნაცვლად მისი შინაარსობრივი გადახედვის და მოდიფიცირებისა. რეკომენდაცია 25 შესრულებულია, დაწესებულება ზრუნავს ლიტერატურის განახლებაზე. გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო კურსების ლექტორები მუდმივად ანახლებენ სასწავლო ლიტერატურას შესაბამის სილაბუსებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ბიბლიოთეკაში ლექტორების მიერ დასახელებული განახლებული ლიტერატურის არსებობა, რაც დადასტურებულ იქნა. რეკომენდაცია 26 შესრულებილია. უნივერსიტეტმა განაახლა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ინსტრუქცია და დაცვის წესი.

	რეკომენდაცია 27 ნაწილობრივ არის შესრულებული. ტრენინგების ჩატარება დაწესებულებამ დაიწყო და ძირითადად დაგეგმვის ფაზაშია. რეკომენდაცია 28 ნაწილობრივ არის შესრულებული. უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ კვლევებში ჩართული იქნება 16 სტუდენტი. კვლევითი კომპონენტის პროგრამებში ინტეგრირება ჯერ არ იგეგმება. პერსონალის აკადემიური განვითარების კუთხით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა გრანტების, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და პუბლიკაციების დაფინანსების მექანიზმები, თუმცა ამ მხრივ დაწესებულების პერსონალის აქტიურობა ნაკლებად შესამჩნევია. რეკომენდაცია 29 ნაწილობრივ შესრულებულია. უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტთან როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების გაცვლითი პროგრამების თაობაზე. დაიგეგმა 1 სტუდენტის და 1 აკადემიური პერსონალის მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში, თუმცა, არსებული გარემოებების გათვლისწინებით, ვერ მოხერხდა განხორციელება.
3.3 სწავლის შედეგების შეფასება 30. რეკომენდებულია სწავლის შედეგების სისტემის შექმნა და უზრუნველყოფილი იყოს, რომ შეფასების საერთაშორისო სტანდარტები არის დანერგილი სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.	რეკომენდაცია 30 არ არის შესრულებული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავება ამ ეტაპზე არ მომხდარა და არის დაგეგმილი. შესაბამისად, რეკომენდაციის შესრულება PDCA ციკლის პირველ, დაგეგმვის ფაზაშია.
4. უსდ-ს პერსონალი	
4.1. პერსონალის მართვა 31. განსაზღვრეთ ცხადი ინდიკატორები აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში; 32. შეიმუშავეთ მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულია მომავალი აქტივობების განვითარებისათვის. 33. დანერგეთ ნათელი და გამჭვირვალე მექანიზმები პერსონალის განვითარების და მოტივირების მიმართულებით. 34. გაზარდეთ დაფინანსება კადრების პროფესიული განვითარებისათვის; 35. უზრუნველყავით, რომ პერსონალის წახალისების პოლიტიკა ეფუძნება პერსონალის შეფასების შედეგებს. 36. განსაზღვრეთ აკადემიური პერსონალის	რეკომენდაციები 31 და 32 ნაწილობრივ შესრულებულია, რადგან დაწესებულებას ამ ეტაპზე დაწყებული აქვს სამუშაოები მათი შესრულების მიზნით. 2019-2020 სასწავლო წლისათვის სასწავლო უნივერსიტეტმა განაახლა აკადემიური პერსონალის წლიური სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვის ფორმა, რომელიც მიუსადაგა აკადემიური პერსონალის წლიური საკონტაქტო და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებული საქმიანობების რაოდენობრივი შეფასებისა და ზღვრული ნორმების შესახებ მიღებულ საუნივერსიტეტო მიდგომებს. პროცესი მიმდინარეა და დაგეგმილია, რომ 2021 წლისათვის შეფასებისათვის გამოყენებული იქნება კომპლექსური მიდგომები.

შერჩევის ცხადი და გამჭვირვალე კრიტერიუმები; 37. უზრუნველყავით, რომ აკადემიური პერსონალი ღებულობს მუდმივად სტუდენტების მიერ გაკეთებულ მათ შემაჯამებელ შეფასებას. 38. შეიმუშავეთ მექანიზმები ადამიანური რესურსების მდგრადობის მიმართულებით. 39. გაზარდეთ აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვი. 40. გაზარდეთ აფილირებული პერსონალის დაჯილდოების პოლიტიკა და უზრუნველყავით, რომ ისინი საკუთარ ინტელექტუალურ რესურსებს ახმარენ უნივერსიტეტს.	რეკომენდაცია 33 მეტწილად შესრულებულია; შემუშავებულია ადამიანური რესერსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; შემუშავებულია აფილირებული პროფესორების წახალისების მექანიზმები. პერსონალის განვითარებისა და მოტივირების მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგები, დაფინანსდა 3 შიდა სამეცნიერო გრანტი, 5 პერსონალი ჩართულია ინგლისური ენის გაძლიერების პროგრამაში. რეკომენდაცია 34 შესრულებულია. 2020 წლის ბიუჯეტში წინა წელთან შედარებით გათვალისწინებული და 2-ჯერ გაზრდილია ადამიანური რესურსების განვითარების მხარდაჭერის და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების დაფინანსება. რეკომენდაცია 35 ნაწილობრივ შესრულებულია, ვინაიდან ამ ეტაპზე თჰსუ მუშაობს პერსონალის საქმიანობის შეფასების გაუმჯობესებაზე და შესაბამისი სისტემის შემუშავებაზე. რეკომენდაცია 36 არ არის შესრულებული. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, ყველა კატეგორიის აკადემიური პერსონალისთვის მხოლოდ ზოგადი მოთხოვნებია დადგენილი. დაწესებულებას არ აქვს ჩამოყალიბებული განსხვავებული კრიტერიუმები და მოთხოვნები სხვადასხვა აკადემიური პოზიციის მიმართებით. მაგალითად, პროფესორებისთვის, ასოცირებული პროფესორებისთვის და ასისტენტ-პროფესორებისთვის ერთი პუბლიკაციაა საჭირო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და განსხვავება მხოლოდ წლების მიხედვით გამოცდილებაში იკვეთება. რეკომენდაცია 37 ნაწილობრივ შესრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ მექანიზმი არსებობს, ინტერვიუს დროს ვერ მოხდა მკაფიო პასუხების მიღება აკადემიური პერსონალის მხრიდან. რეკომენდაცია 38 მეტწილად შესრულებულია. დაწესებულებამ შეიმუშავა ადამიანური რესურსების მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ამ ეტაპზე PDCA ციკლის მეორე ფაზაშია. რეკომენდაცია 39 ნაწილობრივ შესრულებულია. ერთ ფაკულტეტზე გამოცხადდა აკადემიური კონკურსი და აყვანილ იქნა 6 ახალი აფილირებული პერსონალი. 2019 წლის მონაცემებით იყო 23 აფილირებული პერსონალი, ეხლა არის 27. რეკომენდაცია 40 მეტწილად შესრულებულია. 2020 წლის თებერვლიდან შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების წესის თანახმად

	დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, სადაც უმრავლესობით მონაწილეობს უნივერსიტეტის აფილირებული პირები, თუმცა სამი დაფინანსებული პროექტიდან ერთში ამ ეტაპზე არ არის ჩართული დაწესებულების აფილირებული პროფესორი. გარად ამისა, 2020 წლის თებერვალში პრემია გაიცა 6 აფილირებულ პროფესორზე.
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა 41. უნდა შემუშავდეს უფრო ცხადი პერსონალის სამიზნე ნიშნულები. ეს სამიზნე ნიშნულები უნდა ასახავდეს რეალობას და სტიმულირებას უწევდეს პერსონალს, რომ გამოყოს დრო კვლევისთვის, განსაკუთრებით საერთაშორისო პროექტების განხორციელებისთვის. 42. იმუშავეთ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიმართულებით. 43. შეიმუშავეთ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, ასევე, აკადემიური პერსონალის აფილირებით, და უზრუნველყავით, რომ ეს გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამებში. 44. უზრუნველყავით, რომ პერსონალის დატვირთვის სქემა არის ლოგიკური, მიღწევადი და თავსებადია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.	რეკომენდაცია 41 მეტწილად შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტმა განაახლა აკადემიური პერსონალის წლიური სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვის ფორმა, რომელიც დაკავშირებული საქმიანობების რაოდენობრივ შეფასებასთან და დადგენილია ზღვრული ნორმები, თუმცა პროცესი მიმდინარეა და დაგეგმილია, რომ 2021 წლისათვის შეფასებისათვის გამოყენებული იქნება კომპლექსური მიდგომები. რეკომენდაცია 42 ნაწილობრივ შესრულებულია. ერთ ფაკულტეტზე გამოცხადდა აკადემიური კონკურსი და აყვანილ იქნა 6 ახალი აფილირებული პერსონალი. 2019 წლის მონაცემებით იყო 23 აფილირებული პერსონალი, ეხლა არის 28. რეკომენდაცია 43 მეტწილად შესრულებულია. მეთოდოლოგია შემუშავებულია, დადგენილია სამიზნე ნიშნულები, რომლებიც ამ ეტაპზე არ არის შესრულებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის, თუმცა აღასანიშნავია, რომ დაწესებულება გეგმავს ამ მხრივ მუშაობის გაგრძლებას. რეკომენდაცია 44 შესრულებულია ნაწილობრივ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების მიხედვით კვლავ ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც პირის დატვირთვა ყველა უსდ-ში უტოლდება 55 საკონტაქტო საათს კვირაში.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	
6.1 კვლევითი საქმიანობა 58. გაამლიერეთ თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან. 59. განავითარეთ მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს რომ კვლევა ასევე ფოკუსირებულია რეგიონალურ და საერთაშორისო მიმართულებით.	სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაწყებულია სამუშაოები რეკომენდაციის შესასრულებლად შემდეგი კუთხით: აკადემიური პერსონალის მიღწევებისა და კვლევითი ცენტრის დირექტორის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით მოხდა კვლევითი პრიორიტეტების გამოყოფა, ამავდროულად კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრისას უნივერსიტეტმა გამოიყენა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ განსაზღვრული კლასიფიკატორი და კვლევით პრიორიტეტებად განსაზღვრა 4 მიმართულება.

	რაც შეეხება კვლევის ბიუჯეტს, უნივერსიტეტმა გაზარდა ფინანსები კვლევის მიმართულებით. 2020 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი იქნა კვლევითი საქმიანობაზე 41500 ლარი, რომელთაგან 21200 დაიხარჯება უშუალოდ შიდა საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პროექტებზე. კერძოდ, უნივერსიტეტმა ჩაატარა კონკურსი, წარმოდგენილი იყო 5 პროექტი, რომელთაგან დაფინანსდა 3 პროექტი. აღსანიშნავია, რომ პროექტებიდან მხოლოდ 1-ის ხელმძღვანელი არის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, დანარჩენი 2 თემის ხელმძღვანელი კი მოწვეული აკადემიური პერსონალია. კვლევები ძირითადად ფოკუსირებულია ადგილობრივ პრობლემებზე და ნაკლებად ითვალისწინებს რეგიონულ ან საერთაშორისო ინტერესებს. მეორე რეკომენდაციის შესრულებისათვის სასწავლო უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმები რუმინეთის და გერმანიის უნივერსიტეტებთან და ასევე მოლაპარაკებების პროცესშია პოლონეთის უნივერსიტეტთან. ამდენად, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაციების შესრულება დასაწყის სტადიაზეა და დიდი ძალისხმევა ჭირდება საერთაშორისო დონის მისაღწევად. **შესაბამისად, რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულებულია.**
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია 60. აქტიურად გამოიყენეთ ყველა განსაზღვრული მექანიზმი პერსონალის მოტივირების მიზნით. 61. შეუსაბამეთ სტრატეგიულ ამოცანებს კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიმართულებით შესაბამისი ფინანსური რესურსები. 62. რეგულარულად შესთავაზეთ აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო კვალიფიკაციის განმავითარებელი აქტივობები. 63. განავითარეთ მექანიზმები, რათა გაიზარდოს პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი მაღალი ციტირების ინდექსის მქონე და იმფაქთ ფაქტორიან ჟურნალებში. 64. განავითარეთ და დანერგეთ უფრო ეფექტური მექანიზმები, რათა მოხდეს სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო აქტივობებში. 65. გააძლიერეთ თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებით	სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შექმნილია კვლევებისა და განვითარების ცენტრი. კვლევითი საქმიანობისათვის 2020 წლის ბიუჯეტში განსაზღვრულია 40500 ლარი, რომელთაგან აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – 21200; საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების ხარჯები – 6100; სტუდენტთა კვლევითი აქტივობები – 13200 ლარია. როგორც ინტერვიუდან გაირკვა, თითოეული პროექტის მაქსიმალური დაფინანსება განსაზღვრულია 10000 ლარით, თუმცა ერთდრობლივად დაფინანსებული 3 პროექტის ღირებულებაა 21200 ლარი. უნივერსიტეტი აფილირებულ პირს უპირატესობას მიანიჭებს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა მხოლოდ 1 კვლევის ხელმძღვანელია უსდ-ს აფილირებული პროფესორი და დანარჩენი 2 კი მოწვეული პერსონლია, რომელიც ასევე სხვა უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალია.

ერთობლივი კვლევების მიმართულებით. 66. გააძლიერეთ თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდებთან. 67. უფრო აქტიურად გამოიყენეთ მექანიზმები, რომ მოიზიდოთ ახალგაზრდა კვალიფიცირებული აკადემიური პერსონალი.	აღნიშნულ კველევებში ჩართული იქნება 16 სტუდენტი, რაც ფაქტიურად მცირე ნაწილია სტუდენტური კონტინგენტის. რაც შეეხება კონფერენციებში მონაწილეობას და შეხვედრების მოწყობას, უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისა და კვლევითი ცენტრის ორგანიზებით 2020 წლის 8 ივლისს ჩატარდა ორი სტუდენტური ონლაინ კონფერენცია. ერთ–ერთ აკადემიურ პერსონალს და რამოდენიმე სტუდენტს დაუფინანსდა მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა თბილისში სასტუმრო ბილტმორში. ინტერვიუს პროცესში გამოირკვა ასევე, რომ პროფესორმა, რომელმაც გამოაქვეყნა საერთაშორისო ჟურნალში სტატია მიიღო ფიანანსური წახალისება. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პერსონალის კვლევითი პოტენციალის გასაზრდელად დაგეგმილია პერსონალისთვის ტრენინგების მოწყობა, რომელზეც განხილული იქნება კვლევის შედეგების ანალიზისა და სტატიის მომზადების ასპექტები, რაც საჭიროა იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად. უსდ-ს გეგმაში განსაზღვრულია არანაკლებ 2 კონფერენციის და არანაკლებ 2 საჯარო ლექციის ჩატარება, თუმცა ფაქტიურად ჯერ–ჯერობით ვერ მოხერდა ამ გეგმის შესრულება. ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტის მიერ გადადგმული იქნა შემდეგი ნაბიჯები: გაფორმდა მემორანდუმები რუმინეთის (პიტესტი), გერმანიის (აშფენბურგი), პოლონეთის (ბიდგოში) უნივერსიტეტებთან. მემორანდუმების ფარგლებში უნდა მომხდარიყო ერაზმუს პროგრამის დაფინანსებით 1 სტუდენტისა და 1 აკადემიური პერსონალის მობილობა. თუმცა, ეს მობილობა ვერ განხორციელდა პანდემიის გამო და გადატანილია შემოდგომაზე. **რეკომენდაციები შესრულებულია ნაწილობრივ.**
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება 68. ფოკუსი გააკეთეთ სამეცნიერო კვლევების თვისობრივი შეფასების ნაწილზე, ასევე, სრულყოფილი ანალიზისა და განვითარების ინდივიდუალურ რეკომენდაციებზე. 69. ჩაატარეთ კვლევები და ანალიზი ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით.	უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია შიდასაგრანტო კონკურსის ჩატარების წესი და დაგეგმილია თვისობრივი შეფასების ჩასატარებლად თანამედროვე მეთოდების მოძიება და დანერგვა. თუმცა, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, თვისობრივ და ხარისხობრივ შეფასებაზე გადასვლა შორეული პერსპექტივაა და თვლიან, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა პერსონალის ტრენინგები მაღალი დონის ჟურნალებში

	სტატიების მოსამზადებლად და გამოსაქვეყნებლად. ასევე ფიქრობენ, რომ მომავალში პარტნიორ უნივერსიტეტებთან მჭიდრო კავშირის შედეგად მათი გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას. ამ ეტაპზე დაგეგმილი აქვთ მხოლოდ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის პერიოდულად შეფასება შემდეგ ინდიკატორებზე დაყრდნობით: „ანგარიშგების გზით მიღებული ინფორმაცია, პირველადი მონაცემების წყაროები: Scopus; Google Scholar; Web of Science / Book Citation Index; კოლეგების, აგრეთვე დამოუკიდებელ მკვლევართა შეფასებები“. სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ღრმა ანალიზი ყველა სტრუტურული ერთეულის ჩართულობით არ ჩატარებულა. **რეკომენდაციები შესრულებულია ნაწილობრივ.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

3.1

1. მთავარი ინდიკატორი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, სხვა შემთხვევაში ეს გაზრდის შანსებს, რომ სტუდენტები დარჩენენ უმუშევრები ან იმუშაონ სხვა სფეროში, სადაც მათ არ აქვთ კვალიფიკაცია.
2. რეკომენდებულია, ბაზრის კვლევა ჩატარდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით და განხორციელდეს პროგრამების ადაპტირება ბაზრის კვლევის მოთხოვნების შესაბამისად.
3. საჭიროა დაწესებულებამ გადახედოს თავის სტრატეგიულ მიზნებს პროგრამებთან მიმართებით და გაანალიზოს ზოგიერთი პროგრამის გაგრძელების შესაძლებლობა.

3.2

4. რეკომენდებულია, გაძლიერდეს უცხო ენების სწავლება, რაც ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას და სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობას.
5. რეკომენდებულია, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი გახდეს უფრო ქმედითი მექანიზმი, რათა დროულად და ეფექტურად მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და პროგრამების და სწავლების მეთოდების გაუმჯობესება.
6. რეკომენდებულია, ამაღლდეს დაწესებულებაში აკადემიური კეთილსინდისიერების ცნობიერება, რისთვისაც უნდა ჩატარდეს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები, რათა მოხდეს ამ ღირებულებების საზოგადოების წევრებს შორის გაზიარება და ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენების ინტენსიურად დანერგვა.
7. რეკომენდებულია, სასწავლო უნივერსიტეტმა გააგრძელოს და უფრო მეტად გააძლიეროს კვლევითი აქტივობები და მოახდინოს მათი ინტეგრირება, როგორც სასწავლო პროგრამებში, ასევე, პერსონალის აკადემიური განვითარების მიმართულებით.

3.3

8. რეკომენდებულია, შემუშავებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი თითოეული პროგრამისათვის, მოხდეს მათი მიღწევის მაჩვენებლებზე

დაკვირვება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გასაუმჯობესებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.

4.1

9. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს შიდა საგრანტო კვლევით დაფინანსებული პროექტების KPI-ები და არსებული მწირი რესურსები მიზნობრივად მოახმაროს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას.
10. რეკომენდებულია, უნივერსიტეტი პერსონალის განვითარების პოლიტიკის შემუშავებიდან აქტიურად გადავიდეს განხორციელების ფაზაში და სრულად შეასრულოს PDCA ციკლი.
11. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის კვლევითი კომპონენტის შეფასების მექანიზმი და დროულად გააცნოს შედეგები აკადემიური პერსონალს.
12. რეკომენდებულია, ზუსტად დაიგეგმოს საჭირო აფილირებული აკადემიური პერსონალის აყვანის გრაფიკი და გეგმის მიხედვით განხორციელდეს პროცესი.
13. რეკომენდებულია, უსდ-მ მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიურ პოზიციებზე შერჩევის კრიტერიუმები, რათა დაინტერესებული პირებისთვის წინასწარვე იყოს ცნობილი წაყენებული მოთხოვნები და შედეგები გახდეს გამჭვირვალე.

4.2

14. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პერსონალის დატვირთვის კონტროლის მექანიზმი და პრაქტიკაში შეასრულოს დადგენილი სამიზნე ნიშნულები.
15. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს აფილირებული პროფესორების რაოდენობა დადგენილი ნიშნულების შესრულების და საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

6.1

16. კვლევების შეფასებისათვის რეკომენდებულია გამოყენებული იქნეს გარე შეფასების მექანიზმი და ასევე საჭიროა, რომ კვლევა მეტად იყოს ფოკუსირებული რეგიონალურ და საერთაშორისო პრობლემებზე და შეიცავდეს სამეცნიერო ღირებულებასა და სიახლეს.

6.2

17. შეუსაბამეთ სტრატეგიულ ამოცანებს კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიმართულებით შესაბამისი ფინანსური რესურსები.
18. გააძლიერეთ თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებით ერთობლივი კვლევების მიმართულებით.
19. გააძლიერეთ თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდებთან.
20. უფრო აქტიურად გამოიყენეთ მექანიზმები, რომ მოიზიდოთ ახალგაზრდა კვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

6.3

21. ფოკუსი გააკეთეთ სამეცნიერო კვლევების თვისობრივი შეფასების ნაწილზე, ასევე, სრულყოფილი ანალიზისა და განვითარების ინდივიდუალურ რეკომენდაციებზე.
22. ჩაატარეთ კვლევები და ანალიზი ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით.

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☒	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☒	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☒	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☒	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დიანა მჭედლიშვილი (თავმჯდომარე)
2. ია ფანცულაია (წევრი)
3. ლარისა პატარაია (წევრი)
4. დავით მაკასარაშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: 1. სრულიად მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის მისია ასახავდეს სტრატეგიული გეგმის განვითარებას პრაქტიკაში, ასევე, გამოიყოს ბიუჯეტი განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით. 2. დამატებით ყურადღებას საჭიროებს ცოდნის შექმნის პროცესი (საუკეთესო კვლევების გზით). 3. დაწესებულების მახასიათებლები უნდა ასახავდეს არსებულ რეალობას და არა აბსტრაქტულ პერსპექტივებს. 4. რეკომენდებულია მისიის ფართო გავრცელება და ცნობადობის ამაღლება. 5. უნივერსიტეტის სახელი უნდა შეიცვალოს, რათა ის ასახავდეს უნივერსიტეტის აქტივობებს. 6. სასურველია უფრო მეტი გამჭვირვალობა ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებით, მაგალითად, ფაკულტეტებს, კვლევით სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, სტუდენტურ თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს საკუთარი ბიუჯეტი და იყოს საქმის კურსში თუ რა რაოდენობის ფინანსები აქვთ დასახარჯად, ვიდრე თოთოეულ ინიციატივაზე ადმინისტრაციას მიმართონ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.

○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: 7. უნივერსიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საჭიროებს მნიშვნელოვან გადახედვას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასურველი მიზნების მიღწევა დადგენილ ვადებში. 8. გადახედვის და შეფასების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება არის საჭირო, რომ აღმოჩენილი იყოს პრობლემები. 9. აუცილებელია მენეჯმენტის და ანგარიშვალდებულების მექანიზმების განვითარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: 10. აუცილებელია ინტერნაციონალიზაციისათვის დამატებითი რესურსების, განსაკუთრებით კი ფინანსური

რესურსების დაუყოვნებლივი მოძიება. 11. ზედამხედველობის მექანიზმები საჭიროებს გადახედვას და რეორგანიზებას. 12. უნდა წახალისდეს უნივერსიტეტის სტრატეგიის ცნობადობის გაზრდა და გავრცელება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: 13. უნდა შემუშავდეს ახალი სტრატეგია, რათა განვითარდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობა და კოორდინაცია. 14. უნდა შემუშავდეს პერსონალის შეფასების უკეთესი მონიტორინგის სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

15. ყველა წერითი ნაშრომი, რომელიც არის 5,000 სიტყვაზე მეტი, ან/და ყველაფერი რაც უნდა გამოიცეს (სტუდენტების ან პერსონალის მიერ) უნდა გადამოწმდეს ელექტრონულად პლაგიატის პროგრამის საშუალებით.
16. უნდა მოწმდებოდეს ანტიპლაგიატის პროგრამა და ასევე ის მეთოდი, რომლის მიხედვითაც გამოიყენება ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, შეესაბამება თუ არა ის საერთაშორისო სტანდარტებს, მოიცავს თუ არა ცდომილების პროცენტს, როგორია მისი გამოთვლის მეთოდოლოგია, იმ პუბლიკაციებისთვის, რომელთა შესამოწმებლადაც ის გამოიყენება, ასევე, მოიცავს თუ არა მონაცემების დაცვის საკითხებს.
17. პერსონალი და სტუდენტები უნდა აწერდნენ ხელს ეთიკის კოდექსს, მათი დაწესებულებაში მისვლის პირველივე დღეს, ასევე, უნდა დაესწრონ სემინარს, რომელიც ეთიკის საკითხს ეხება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: 18. მთავარი ინდიკატორი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, სხვა შემთხვევაში ეს გაზრდის შანსებს, რომ სტუდენტები დარჩენენ უმუშევრები ან იმუშაონ სხვა სფეროში, სადაც მათ არ აქვთ კვალიფიკაცია. 19. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება შეიძლება ახალი საგნების დამატებით, რომლებიც ინგლისურ ენაზე შეიძლება ისწავლებოდეს და ასევე, ევროპულ ენებზეც, ასევე, უნდა გაიზარდოს ბიუჯეტი ასეთი აქტივობებისთვის. 20. უფრო ხშირადაა ჩასატარებელი ბაზრის კვლევა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და პროგრამების ადაპტირება ბაზრის კვლევასთან. 21. საჭიროა უფრო მეტი სიცხადე თჰსუ-ში არსებულ განმარტებებთან დაკავშირებით სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების, ასევე, პროგრამების შეწყვეტის შესახებ. რეკომენდაციები 18 და 20 ნაწილობრივ შესრულებულია. შრომის ბაზრის კვლევა ბოლო პერიოდში განხორციელდა მხოლოდ ერთ პროგრამასთან მიმართებით - ბიზნენის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა, რომლის განხორციელების დაწყებასაც აპირებს დაწესებულება. სხვა პროგრამებზე ბაზრის კვლევის განხორციელება მხოლოდ დაგეგმვის ფაზაშია. რეკომენდაცია 19 მეტწილად შესრულებულია. შემდეგი სემესტრიდან ბიზენის ადმინისტრირების პროგრამას ემატება არჩევითი უცხოენოვანი საგნები. ინტერვიუებისას გაირკვა, რომ სამართლის ფაკულტეტზე სამომავლოდ იგეგმება ინგლისურენოვანი მოდულის დამატება, თუმცა ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა. 2019 წლის ბიუჯეტში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაისათვის გათვალისწინებულია 27000 ლარი (დანართი 14, პ. 1.21) რეკომენდაცია 21 ნაწილობრივ შესრულებულია. უნივერსიტეტმა დოკუმენტურად გამართა და სტანდარტებს შეუსაბამა პროგრამების შეწყვეტისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მიუხედავად ამისა, ვიზიტისას გამოვლინდა რიგი შემთხვევები პროგრამაში ცვლილების შეტანის, რომლებშიც დოკუმენტში აღწერილი ყველა მხარე არ იყო ჩართული, რაც გადაწყვეტილებების გამჭირვალობას, შესაძლოა, ეჭვქვეშ აყენებდეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ პროგრამაზე (ტურიზმი, ფარმაცია და ფსიქოლოგია) ფიქსირდება სტუდენტების დაბალი მაჩვენებლი, რაც პროგრამის ფინანსურ მდგრადობას ეჭვქვეშ აყენებს. თჰსუ-ში მოცემულ ეტაპზე სწავლება მიმდინარეობს 4 ფაკულტეტის 10 პროგრამაზე. უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერილია დოკუმენტში „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი“. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და მოდიფიცირება ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოსა და მის მიერ დამტკიცებული ''აკადემიური პროგრამების განვითარების დარგობრივი კომისიის'' მიერ, რის შემდეგაც პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს. აღნიშნულ კომისიის შემადგენლობაში შედის როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი. მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით პროცესში ასევე ჩართულნი უნდა იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, თუმცა ექსპერტთა კორპუსთან ინტერვიუების პროცესში მათი აქტიური ჩართულობა არ დადასტურდა.

ზემოაღნიშნულ დადგენილებაში მითითებულია, რომ პროგრამის შემუშავებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შრომის ბაზრის მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ ამჟამად უსდ-ში მიმდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირება, რომელშიც გათვალისწინებულია უსდ-ს მიერ დაკვეთილი შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევაც. მასზე დაფუძნებით დაიგეგმა ახალი საგნის, „მენეჯმენტის", დამატება, ასევე პრიორიტეტად გამოიკვეთა 'Microsoft Excel'-ის და ინგლისური ენის მაღალ დონეზე ფლობა, რის საფუძველზეც შემუშავდა 30 კრედიტიანი არჩევითი ინგლისურენოვანი მოდული. აღნიშნული პროგრამის დანერგვა იგეგმება 2020-2021 წლების შემოდგომის სემესტრში. სხვა პროგრამების მოდიფიცირების მიმართულებით უნივერსიტეტს ავტორიზაციის მიღებიდან დღემდე ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. ასევე, ნათლად ვერ იქნა წარმოჩენილი იყენებს თუ არა უსდ დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა და სტუდენტების უკუკავშირს პროგრამების განვითარებისათვის.

უსდ-ში პროგრამების გაუქმების წესი და პროცედურები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ და აღწერილია დოკუმენტში „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი".

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი (დანართი 19);
- თჰსუ-ის 2019 წლის ბიუჯეტი (დანართი 14);
- შრომის ბაზრის კვლევა (დანართი 20);
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მთავარი ინდიკატორი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, სხვა შემთხვევაში ეს გაზრდის შანსებს, რომ სტუდენტები დარჩენენ უმუშევრები ან იმუშაონ სხვა სფეროში, სადაც მათ არ აქვთ კვალიფიკაცია.
- რეკომენდებულია, ბაზრის კვლევა ჩატარდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით და განხორციელდეს პროგრამების ადაპტირება ბაზრის კვლევის მოთხოვნების შესაბამისად.
- საჭიროა დაწესებულებამ გადახედოს თავის სტრატეგიულ მიზნებს პროგრამებთან მიმართებით და გაანალიზოს ზოგიერთი პროგრამის გაგრძელების შესაძლებლობა.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

22. უცხო ენების სწავლება უკეთესად უნდა იყოს ორგანიზებული იმისათვის, რომ მოხდეს სამიზნე ნიშნულების მიღწევა.
23. უფრო დეტალური მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს იმისათვის, რომ შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები და სასწავლო მასალა სპეციალური განათლების საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, ხოლო ამ ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს აკადემიურ პერსონალში.
24. რეკომენდებულია, რომ ხელმისაწვდომი მონაცემები სტუდენტების სასწავლო პროგრესის შესახებ სისტემატიურად იყოს გამოყენებული, რათა იდენტიფიცირებული იყოს პრობლემები და მოხდეს მათი განვითარება.
25. სასწავლო მასალა უნდა იყოს განახლებული უახლეს გამოცემებთან მიმართებით იმისათვის, რომ სტუდენტები იყვნენ უზრუნველყოფილნი თანამედროვე მასალებით.
26. უნდა შემუშავდეს საბაკალავრო და სამაგისტრო თეზისების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უფრო დეტალური და ნათელი რეგულაციები.
27. უნდა ჩატარდეს აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები, რათა ისწავლონ ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება.
28. სისტემატიური და ცხადი მიდგომა უნდა შემუშავდეს რათა მოხდეს კვლევითი აქტივობების გაძლიერება და მათი ინტეგრირება, როგორც სასწავლო პროგრამებში, ასევე, პერსონალის აკადემიური განვითარების მიმართულებით.
29. უნდა მოხდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის თარგმნა აქტივობებში და დაინერგოს მობილობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

რეკომენდაცია 22 ნაწილობრივ არის შესრულებული. უნივერსიტეტმა გადადგა ნაბიჯები უცხოენოვანი მოდულების შემოღებით მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე. ასევე, დანერგა ინგლისური ენის კურსები პერსონალისათვის. სხვა პროგრამების სილაბუსების გადახედვა ან ცვლილება არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ ვერ მოხერდა დღის წესრიგით გათვალისწინებული გასაუბრება ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტთან.

რეკომენდაცია 23 მეტწილად შესრულებულია. უნივერსიტეტმა განაახლა და დახვეწა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა პერსონალთან შესაბამისი შეხვედრები არ ჩატარებულა. დაწესებულება გეგმას ამ საკითხზე მუშაობს.

რეკომენდაცია 24 ნაწილობრივ არის შესრულებული. სასწავლო უნივერსიტეტი ყოველი სემესტრის დასრულებისას ატარებს აკადემიური მოსწრების ანალიზს, თუმცა არ არის ცხადი, როგორ იყენებს მას პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი აღმოფხვრისათვის. აღსანიშნავია, რომ ჩაჭრების მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში მაგალითად, მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკავრო პროგრამაზე გადავიდა არჩევით ბლოკში, ნაცვლად მისი შინაარსობრივი გადახედვის და მოდიფიცირებისა.

რეკომენდაცია 25 შესრულებულია. დაწესებულება ზრუნავს ლიტერატურის განახლებაზე. გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო კურსების ლექტორები მუდმივად ანახლებენ სასწავლო ლიტერატურას შესაბამის სილაბუსებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ბიბლიოთეკაში ლექტორების მიერ დასახელებული განახლებული ლიტერატურის არსებობა, რაც დადასტურებულ იქნა.

რეკომენდაცია 26 შესრულებილია. უნივერსიტეტმა განაახლა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ინსტრუქცია და დაცვის წესი.

რეკომენდაცია 27 ნაწილობრივ არის შესრულებული. ტრენინგების ჩატარება დაწესებულებამ დაიწყო და ძირითადად დაგეგმვის ფაზაშია.

რეკომენდაცია 28 ნაწილობრივ არის შესრულებული. უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ კვლევებში ჩართული იქნება 16 სტუდენტი. კვლევითი კომპონენტის პროგრამებში ინტეგრირება ჯერ არ იგეგმება. პერსონალის აკადემიური განვითარების კუთხით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა გრანტების, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და პუბლიკაციების დაფინანსების მექანიზმები, თუმცა ამ მხრივ დაწესებულების პერსონალის აქტიურობა ნაკლებად შესამჩნევია.

რეკომენდაცია 29 ნაწილობრივ შესრულებულია. უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტთან როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების გაცვლითი პროგრამების თაობაზე. დაიგეგმა 1 სტუდენტის და 1 აკადემიური პერსონალის მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში, თუმცა, არსებული გარემოებების გათვლისწინებით, ვერ მოხერხდა განხორციელება.

ინგლისური ენის სწავლების კომპლექსური შეფასებისა და ანალიზისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა სილაბუსების გადახედვა, აკადემიური მოსწრების ანალიზი, პედაგოგებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების ჩატარება. სამუშაო ჯგუფს ანალიზი და რეკომენდაციები უნდა წარედგინა 2020 წლის ივნისში, თუმცა ექსპერტთა პანელის მიერ აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნის შემდეგ, გაირკვა, რომ წარდგენის თარიღმა 1 თვით გადაიწია, შესაბამისად მისი გამოკვლევა ვერ მოხერხდა. უცხო ენების სწავლების მხრივ, პროგრამებში ცვლილებები მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით განხორციელდა, სამომავლოდ დაემატა რა 4 ინგლუსურენოვანი არჩევითი მოდული.

ასევე აღსანიშნავია, რომ ვიზიტისას ექსპერტთა პანელთან დაგეგმილი შეხვედრა ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელებთან ვერ მოხდა. უცხოელ სტუდენტებთან შეხვედრისას კი მხოლოდ რუსულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან მოხერხდა გასაუბრება.

უნივერსიტეტი ყოველი სემესტრის ბოლოს ატარებს სასწავლო კურსების აკადემიური მოსწრების ანალიზს. უკანასკნელი მონიტორინგის შედეგებმა გამოავლინა რამდენიმე კურსი, რომელთა დაძლევაც სტუდენტებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ და გაიცა ისეთი რეკომენდაციები, როგორებიცაა: პროგრამის ხელმძღვანელებისა და ფაკულტეტის კოორდინატორების სტუდენტებთან შეხვედრა, შეფასების კრიტერიუმების გადახედვა, სწავლების მეთოდების შეცვლა. ინტერვიუების პროცესში ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა შესრულდა თუ არა აღნიშნული რეკომენდაციები, რაზეც არაერთგვაროვანი პასუხი იქნა მიღებული. აკადემიური პერსონალის ნაწილი უკუკავშირისა და რეკომენდაციის შესრულების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ან პროგრამის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობის მაგალითებს ვერ იხსენებს. ასევე აღსანიშნავია, რომ გასაუბრებისას სტუდენტები არ იზიარებდნენ მონიტორინგის შედეგებს, ამასთანავე, ვერ დაასახელეს ფაკულტეტის კოორდინატორებთან ამ საკითხების განსახილველად შეხვედრის ფაქტები.

უნდა აღინიშნოს, რომ თჰსუ-ში სტუდენტების უმრავლესობა უცხოელია, თუმცა აკადემიური ანალიზის შედეგებში შეუძლებელია დიფერენციაცია ქართული, რუსული და ინგლისური პროგრამების სტუდენტებს შორის, რაც, შესაძლოა, შედეგების ანალიზის სარგებელს მკვეთრად ამცირებდეს.

უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). უსდ-ს მიერ წარადგენილი სასწავლო პროგრამის სილაბუსები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისადაა შედგენილი. სწავლის შედეგები თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსშია მოცემული, თუმცა აკადემიური პერსონალის მიერ გააზრებულია თუ არა მათი როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში ექპერტთა კორპუსისთვის ნათელი არ არის. ინტერვიუებისას კითხვაზე, თუ როგორია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი, ხდება თუ არა მათი შეფასება და შედეგების ანალიზი, აკადემიურმა პერსონალმა განაცხადა, რომ ამ

საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს, რაიმე სახის დამადასტურებელი დოკუმენტის მოწოდება კი ვერ მოხერხდა. ასევე აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში არ არის გამოყოფილი სტუდენტებთან საკონსულტაციო საათები. მითითებული ლიტერატურიდან ექსპერტების მიერ შერჩეული სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ელექტრონულად ან ფიზიკური სახით, მათ განახლებას კი კურსის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს. 2020 წლის იანვარში უნივერსიტეტში მოეწყო OSCE-ის ტიპის საგამოცდო სივრცე (მოეწყო 8 სადგური).

უნივერსიტეტმა რეკომენდაციის შესაბამისად განაახლა საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია. უნივერსიტეტში დაინერგა ანტიპლაგიატის პროგრამა, რომელიც გამოიყენება სამაგისტრო ნაშრომების შესამოწმებლად. აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმაცია აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს მხოლოდ ელექტრონულად მიეწოდა, ტრენინგები კი 2020 წლის შემოდგომის სემესტრშია დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ დაიწყო საბაკალავრო ნაშრომების აღნიშნული პროგრამით შემოწმების პროცესი. ამჟამად, შემოწმებულია 5 საბაკალავრო ნაშრომი.

როგორც ინტერვიუების პროცესში დადგინდა, უნივერსიტეტი შიდა დაფინანსების პრინციპით გეგმავს 3 კვლევითი პროექტის განხორციელებას, რომელშიც ჩართული იქნება 16 სტუდენტი, თუმცა კვლევითი კომპონენტის პროგრამებში ინტეგრირებასთან მიმართებით სასწავლო უნივერსიტეტს არსებითი ცვლილებები ჯერ არ განუხორციელებია.

უნივერსიტეტმა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით 2020 წელს აამოქმედა Erasmus+ პროგრამა, რომლის ფარგლებში დაიგეგმა პრიტესტის უნივერსიტეტის (რუმინეთი) პროფესორის სტუმრობა თჰსუ-ში. დაგეგმილი ვიზიტი პანდემიის გამო ვერ განხორციელდა. ასევე, 2020 წლის ოქტომბერში დაგეგმილია კონკურსის შედეგად შერჩეული 1 სტუდენტის გამგზავრება გერმანიაში, აშაფენბურგის უნივესიტეტში. აღნიშნული სტუდენტის შერჩევა მოხდა ინგლისური ენის კომპეტნეციის განსაზღვრის შედეგად. 2020 წლის ნოემბერში გამოცდილების გაზიარების მიზნით დაგეგმილია აკადემიური პერსონალის ვიზიტი პრეტესტის უნივერსიტეტში.

სპეციალური განათლების საჭიროების მქონე სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების შემუშავებასთვის უნივერსიტეტში მოქმედებაში შევიდა შესაბამისი დადგენილება, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს განცხადების საფუძველზე ისარგებლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. თუმცა აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს ასეთი შემთხვევა ჯერ არ ჰქონია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ინდივიდულარი სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (დანართი 23);
- შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი (დანართი 28);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი 27);
- საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი (დანართი 25);
- სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია (დანართი 26);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს უცხო ენების სწავლება, რაც ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას და სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობას.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი გახდეს უფრო ქმედითი მექანიზმი, რათა დროულად და ეფექტურად მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და პროგრამების და სწავლების მეთოდების გაუმჯობესება.
- რეკომენდებულია, ამაღლდეს დაწესებულებაში აკადემიური კეთილსინდისიერების ცნობიერება,

რისთვისაც უნდა ჩატარდეს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები, რათა მოხდეს ამ ღირებულებების საზოგადოების წევრებს შორის გაზიარება და ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენების ინტენსიურად დანერგვა.

- რეკომენდებულია, სასწავლო უნივერსიტეტმა გააგრძელოს და უფრო მეტად გააძლიეროს კვლევითი აქტივობები და მოახდინოს მათი ინტეგრირება, როგორც სასწავლო პროგრამებში, ასევე, პერსონალის აკადემიური განვითარების მიმართულებით.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააგრძელოს და გააღრმავოს ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი აქტივობები და გააფართოვოს სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის შესაძლებლობები.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია:

30. რეკომენდებულია სწავლის შედეგების სისტემის შექმნა და უზრუნველყოფილი იყოს, რომ შეფასების საერთაშორისო სტანდარტები არის დანერგილი სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.

რეკომენდაცია 30 არ არის შესრულებული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავება ამ ეტაპზე არ მომხდარა და არის დაგეგმილი. შესაბამისად, რეკომენდაციის შესრულება PDCA ციკლის პირველ, დაგეგმვის ფაზაშია.

თჰსუ-ში სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და კრიტერიუმები აღწერილია სილაბუსებში. 2020 წელს სტომატოლოგიის პროგრამაზე (მაგ. თერაპიული სტომატოლოგიის კურსზე) შეფასების მეთოდებს დაემატა OSCE-ის ტიპის გამოცდა, თუმცა არსებული ცვლილება ექსპერტთა მიერ სილაბუსებში ვერ ინახა. ასევე, აკადემიურ პერსონალს ცხადად არ აქვს წარმოდგენილი თუ როგორ უზრუნველყოფს აღნიშნული შეფასების მეთოდები სწავლის მიზნების მიღწევას. არ არსებობს სწავლის შედეგების სისტემური ანალიზის ჩატარების პრაქტიკა, შესაბამისად გაუგებარია როგორ ხდება დადგენა სტუდენტები რეალურად აღწევენ თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ინტერვიუს დროს სტუდენტები ვერ იხსნებენ უნივერსიტეტის მიერ გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების ფაქტებს. ასევე, მათ ნაწილს გამოკითხვაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ. აკადემიური პერსონალის ნაწილი უნივერსიტეტისგან უკუკავშირის მიღების შემთხვევებს ვერ ასახელებს.

პანდემიის პირობებში გამოცდები ტესტურად, უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზისა და Moodle-ის

პლატფორმის ინტეგრირებით ტარდება. აღნიშნულ ცვლილებას სტუდენტები დადებითად აფასებენ. უნივერსიტეტს აქვს შეფასების გასაჩივრების სისტემა, რომელიც აღწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. აღნიშნული დებულების თანახმად სტუდენტმა შეფასების გასაჩივრებისთვის წერილობით უნდა მიმართოს ფაკულტეტის კოორდინატორებს. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს ამ პროცედურის ცოდნა, თუმცა არც ერთ მათგანს წარსულში სააპელაციო განაცხადი არ შეუტანია უნივერსიტეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან; • რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი 27).
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, შემუშავებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი თითოეული პროგრამისათვის, მოხდეს მათი მიღწევის მაჩვენებლებზე დაკვირვება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გასაუმჯობესებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

31. განსაზღვრეთ ცხადი ინდიკატორები აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში;
32. შეიმუშავეთ მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულია მომავალი აქტივობების განვითარებისათვის.
33. დანერგეთ ნათელი და გამჭვირვალე მექანიზმები პერსონალის განვითარების და მოტივირების მიმართულებით.
34. გაზარდეთ დაფინანსება კადრების პროფესიული განვითარებისათვის;
35. უზრუნველყავით, რომ პერსონალის წახალისების პოლიტიკა ეფუძნება პერსონალის შეფასების შედეგებს.
36. განსაზღვრეთ აკადემიური პერსონალის შერჩევის ცხადი და გამჭვირვალე კრიტერიუმები;
37. უზრუნველყავით, რომ აკადემიური პერსონალი ღებულობს მუდმივად სტუდენტების მიერ გაკეთებულ მათ შემაჯამებელ შეფასებას.
38. შეიმუშავეთ მექანიზმები ადამიანური რესურსების მდგრადობის მიმართულებით.
39. გაზარდეთ აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვი.
40. გაზარდეთ აფილირებული პერსონალის დაჯილდოების პოლიტიკა და უზრუნველყავით, რომ ისინი საკუთარ ინტელექტუალურ რესურსებს ახმარენ უნივერსიტეტს.

რეკომენდაციები 31 და 32 ნაწილობრივ შესრულებულია, რადგან დაწესებულებას ამ ეტაპზე დაწყებული აქვს სამუშაოები მათი შესრულების მიზნით. 2019-2020 სასწავლო წლისათვის სასწავლო უნივერსიტეტმა განაახლა აკადემიური პერსონალის წლიური სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვის ფორმა, რომელიც მიუსადაგა აკადემიური პერსონალის წლიური საკონტაქტო და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებული საქმიანობების რაოდენობრივი შეფასებისა და ზღვრული ნორმების შესახებ მიღებულ საუნივერსიტეტო მიდგომებს. პროცესი მიმდინარეა და დაგეგმილია, რომ 2021 წლისათვის შეფასებისათვის გამოყენებული იქნება კომპლექსური მიდგომები.

რეკომენდაცია 33 მეტწილად შესრულებულია; შემუშავებულია ადამიანური რესერსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; შემუშავებულია აფილირებული პროფესორების წახალისების მექანიზმები. პერსონალის განვითარებისა და მოტივირების მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგები, დაფინანსდა 3 შიდა სამეცნიერო გრანტი, 5 პერსონალი ჩართულია ინგლისური ენის გაძლიერების პროგრამაში.

რეკომენდაცია 34 შესრულებულია. 2020 წლის ბიუჯეტში წინა წელთან შედარებით გათვალისწინებული და 2-ჯერ გაზრდილია ადამიანური რესურსების განვითარების მხარდაჭერის და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების დაფინანსება.

რეკომენდაცია 35 ნაწილობრივ შესრულებულია, ვინაიდან ამ ეტაპზე თჰსუ მუშაობს პერსონალის საქმიანობის შეფასების გაუმჯობესებაზე და შესაბამისი სისტემის შემუშავებაზე.

რეკომენდაცია 36 არ არის შესრულებული. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, ყველა კატეგორიის აკადემიური პერსონალისთვის მხოლოდ ზოგადი მოთხოვნებია დადგენილი. დაწესებულებას არ აქვს ჩამოყალიბებული განსხვავებული კრიტერიუმები და მოთხოვნები სხვადასხვა აკადემიური პოზიციის მიმართებით. მაგალითად, პროფესორებისთვის, ასოცირებული პროფესორებისთვის და ასისტენტ-პროფესორებისთვის ერთი პუბლიკაციაა საჭირო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და განსხვავება მხოლოდ წლების მიხედვით გამოცდილებაში იკვეთება.

რეკომენდაცია 37 ნაწილობრივ შესრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ მექანიზმი არსებობს, ინტერვიუს დროს ვერ მოხდა მკაფიო პასუხების მიღება აკადემიური პერსონალის მხრიდან.

რეკომენდაცია 38 მეტწილად შესრულებულია. დაწესებულებამ შეიმუშავა ადამიანური რესურსების მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ამ ეტაპზე PDCA ციკლის მეორე ფაზაშია.

რეკომენდაცია 39 ნაწილობრივ შესრულებულია. ერთ ფაკულტეტზე გამოცხადდა აკადემიური კონკურსი და აყვანილ იქნა 6 ახალი აფილირებული პერსონალი. 2019 წლის მონაცემებით იყო 23 აფილირებული პერსონალი, ეხლა არის 27.

რეკომენდაცია 40 მეტწილად შესრულებულია. 2020 წლის თებერვლიდან შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების წესის თანახმად დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, სადაც უმრავლესობით მონაწილეობს უნივერსიტეტის აფილირებული პირები, თუმცა სამი დაფინანსებული პროექტიდან ერთში ამ ეტაპზე არ არის ჩართული დაწესებულების აფილირებული პროფესორი. გარად ამისა, 2020 წლის თებერვალში პრემია გაიცა 6 აფილირებულ პროფესორზე.

მონიტორინგის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში შეფასდა უსდ-ში არსებული პერსონალის მართვის მიმდინარე პოლიტიკა და პროცედურები.
უნივერსიტეტის ვებგვერდზე წარმოდგენილია უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს მმართველ ორგანოებს, ადმინისტრაციულ/დამხმარე სამსახურებს და ფაკულტეტებს. უნივერსიტეტის მართვა ხორციელდება პარტნიორთა კრების, აკადემიური საბჭოს და რექტორის მიერ.

უსდ-ში შემუშავებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი კადრების ინტეგრირებაზე სასწავლო უნივერსიტეტში, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებას უფრო მდგრადი და მიმზიდველი გახდეს. დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ძირითად პრინციპებს, სამსახურში აყვანის წესს, ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის ხელშემწყობ და პერსონალის განვითარების პოლიტიკას; იგივე დოკუმენტში მოცემულია წახალისების და მოტივაციის სქემები. უნივერსიტეტს სამსახურში ადმინისტრაციულ პოზიციაზე აყვანის გამჭვირვალე პროცედურები აქვს შემუშავებული.

წინა ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რიგი რეკომენდაციები და არსებული პრობლემატური საკითხების საკუთარი გადაჭრის გზები შეიმუშავა.

აღსანიშნავია, რომ კადრების გადინების მაღალი მაჩვენებლის დარეგულირების მიზნით, შემოიღეს თავისუფალი გრაფიკის, ხელფასის მომატების და დაწინაურების სამოტივაციო მექანიზმები. გათვალისწინებულია რეკომენდაცია ჯანდაცვის ფაკულტეტზე, სადაც ღია კონკურსის წესით შეირჩა და დაემატა 4 ახალი აფილირებული პროფესორი. დანარჩენ ფაკულტეტებზე აფილირებული პროფესორების რაოდენობა არ შეცვლილა. (სამართლის ფაკულტეტს ჰყავს 5 აფილირებული პერსონალი, ჰუმანიტარულ ფაკულტეტს - 4 აფილირებული პერსონალი და ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტს - 4 აფილირებული პერსონალი). ამჟამად, უნივერსიტეტს ყავს ჯამურად 28 აფილირებული პერსონალი. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს დროს დაფიქსირდა ახალგაზრდა და კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვის გეგმა, ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული, რამდენი აფილირებული პერსონალის დამატება იგეგმება ფაკულტეტების მიხედვით. აქვე აღსანიშავია, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, ასისტენტების პოზიციაზე არცერთი აფილირებული თანამშრომელი არ ყავთ ცხრილში მოცემული, თუმცა შრომით ხელშერკულებებში ასისტენტის თანამდებობაზე სულ მცირე სამ ადამიანთან არის აფილირების შესახებ ჩანაწერი. აღნიშნული ბუნდოვანს ხდის ინტერვიუებს დროს რამდენჯერმე ხაზგასმულ ფაქტს, რომ ჯანდაცვის ფაკულტეტზე სულ 4 აფილირებული აკადემიური პერსონალი აიყვანეს. გამოცხადებული კონკურსის შესახებ გამოთხოვილ დოკუმენტაციაში წერია, რომ კონკურსის წესით საკონკურსო კომისიამ შეარჩია 6 ახალი აკადემიური პერსონალი, სადაც სამთან გაფორმდა ასისტენტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შრომითი ხელშეკრულება.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრნობით ირკვევა, რომ უსდ ატარებს პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევას. თუმცა, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს, ძირითადად უკუკავშირი უნივერსიტეტის მხრიდან დაფიქსირდა სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების გაცნობის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ზომიდან გამომდინარე, უკუკავშირის მიწოდება უმეტესად ხდება პირდაპირი კომუნიკაციის გზით. რიგ შემთხვევებში, უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის და სხვა ჩართული პირების მოსაზრებებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების თუ პროგრამული გაუმჯობესების თვალსაზრისით.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა დაგეგმა და ახორციელებს ინგლისურ ენაში გადამზადების სატრენინგო კურსს. ამჟამად, ამ ტრენინგს გადის ადმინისტრაციის 5 თანამშრომელი. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტი გამოყოფს შიდა საგრანტო თანხებს. ერთი პროექტის ფარგლებში შესაძლებელია 10000 ლარამდე კვლევითი პროექტის დაფინანსება. თუმცა, მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული მოთხოვნები გრანტის მოპოვების შემდეგ განხორციელებული კვლევის KPI-სთან დაკავშირებით. ასევე, ერთ-ერთ პროექტს ახორციელებს სხვა უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის მიერ დახარჯული რესურსები არ ემსახურება უნივერისტეტის გაძლიერებას სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა კორპუსმა სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინა მათი რეზიუმეები, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ 6 პირის მონაცემები. აღნიშნულ პირებს უდასტურდებათ ბოლო 5 წლის განმავლებაში კვლევების განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრელი დოკუმენტი; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • შრომითი ხელშეკრულებები; • შრომითი ხელშეკრულებები აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან; • თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურო დოკუმენტაცია; • თანამშრომლების CV-ები; • შიდა საგრანტო კვლევითი კონკურსის საპროექტო წინადადება; • აკადემიური/აფილირებული პერსონალის რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით; • დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა; • რეკომენდაციების შესრულების ანაგრიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს შიდა საგრანტო კვლევით დაფინანსებული პროექტების KPI-ები და არსებული მწირი რესურსები მიზნობრივად მოახმაროს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას. • რეკომენდებულია, უნივერსიტეტი პერსონალის განვითარების პოლიტიკის შემუშავებიდან აქტიურად გადავიდეს განხორციელების ფაზაში და სრულად შეასრულოს PDCA ციკლი. • რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის კვლევითი კომპონენტის შეფასების მექანიზმი და დროულად გააცნოს შედეგები აკადემიური პერსონალს. • რეკომენდებულია, ზუსტად დაიგეგმოს საჭირო აფილირებული აკადემიური პერსონალის აყვანის გრაფიკი და გეგმის მიხედვით განხორციელდეს პროცესი. • რეკომენდებულია, უსდ-მ მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიურ პოზიციებზე შერჩევის კრიტერიუმები, რათა დაინტერესებული პირებისთვის წინასწარვე იყოს ცნობილი წაყენებული მოთხოვნები და შედეგები გახდეს გამჭვირვალე.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

41. უნდა შემუშავდეს უფრო ცხადი პერსონალის სამიზნე ნიშნულები. ეს სამიზნე ნიშნულები უნდა ასახავდეს რეალობას და სტიმულირებას უწევდეს პერსონალს, რომ გამოყოს დრო კვლევისთვის, განსაკუთრებით საერთაშორისო პროექტების განხორციელებისთვის.
42. იმუშავეთ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიმართულებით.
43. შეიმუშავეთ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, ასევე, აკადემიური პერსონალის აფილირებით, და უზრუნველყავით, რომ ეს გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამებში.
44. უზრუნველყავით, რომ პერსონალის დატვირთვის სქემა არის ლოგიკური, მიღწევადი და თავსებადია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

რეკომენდაცია 41 მეტწილად შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტმა განაახლა აკადემიური პერსონალის წლიური სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვის ფორმა, რომელიც დაკავშირებული საქმიანობების რაოდენობრივ შეფასებასთან და დადგენილია ზღვრული ნორმები, თუმცა პროცესი მიმდინარეა და დაგეგმილია, რომ 2021 წლისათვის შეფასებისათვის გამოყენებული იქნება კომპლექსური მიდგომები.

რეკომენდაცია 42 ნაწილობრივ შესრულებულია. ერთ ფაკულტეტზე გამოცხადდა აკადემიური კონკურსი და აყვანილ იქნა 6 ახალი აფილირებული პერსონალი. 2019 წლის მონაცემებით იყო 23 აფილირებული პერსონალი, ეხლა არის 28.

რეკომენდაცია 43 მეტწილად შესრულებულია. მეთოდოლოგია შემუშავებულია, დადგენილია სამიზნე ნიშნულები, რომლებიც ამ ეტაპზე არ არის შესრულებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის, თუმცა აღასანიშნავია, რომ დაწესებულება გეგმავს ამ მხრივ მუშაობის გაგრძლებას.

რეკომენდაცია 44 შესრულებულია ნაწილობრივ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების მიხედვით კვლავ ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც პირის დატვირთვა ყველა უსდ-ში უტოლდება 55 საკონტაქტო საათს კვირაში.

2019 წელს აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური პერსონალის ყოველწლიური კონტრაქტის, სასწავლო-სამეცნიერო და დიდაქტიკური დატვირთვისა და სტანდარტების წესი, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტი ყოველსემესტრულად ამუშავებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემას. აღნიშნული სქემის განახლება ხდება ყოველსემესტრულად. უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით, ყოველკვირეული სამუშაო საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს კუმულატიურად ყველა უნივერსიტეტში. თუმცა, მონიტორინგის ფარგლებში QMS-ის მონაცემების შესწავლის დროს, ორ მოწვეულ მასწავლებელს ჯამური დატვირთვა ყველა უნივერსიტეტში 55 საათი გამოსდის.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის წლიური საკონტაქტო, სასწავლო- სამეცნიერო და მეთოდური დატვირთვის რაოდენობრივი შეფასების და ზღვრული ნორმების დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს ყველა შესაძლო აკადემიურ აქტივობას შესაბამისი დროითი რესურსის და შედეგების გათვალისწინებით. აღნიშნული დოკუმენტი თარიღდება 2019 წლის 31 მაისით.

უნივერსიტეტს აგრეთვე შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია სტუდენტთა კონტინგენტის მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის რაოდენობა. საბაკალავრო საფეხურის პროგრამისთვის 40 სტუდენტზე 1 პროფესორი, მაგრამ პროგრამაზე არანაკლებ 5 პროფესორისა, ხოლო სამაგისტრო საფეხურის პროგრამისთვის 25 სტუდენტზე 1 პროფესორი, მაგრამ პროგრამაზე არანაკლებ 5 პროფესორისა; ხოლო მოწვეული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა დასაშვებია იყოს 2:1; მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა ფაქტობრივი მონაცემები და აღნიშნული წესი არ არის დაცული ყველა პროგრამის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია; • აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები; • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემები; • შრომითი ხელშეკრულებები; • აფილირების ხელშეკრულებები; • აკადემიური პერსონალის წლიური სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური დატვირთვის ფორმა; • დაწესებულების რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პერსონალის დატვირთვის კონტროლის მექანიზმი და პრაქტიკაში შეასრულოს დადგენილი სამიზნე ნიშნულები. • რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს აფილირებული პროფესორების რაოდენობა დადგენილი ნიშნულების შესრულების და საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

45. გაზარდეთ სტუდენტების ცნობადობა გასაჩივრების სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება შეფასების სისტემას ასევე, სასწავლო პროცესს. ასევე, წაახალისეთ, რომ სტუდენტები პირდაპირი კომუნიკაციის მაგივრად ოფიციალურად წერდნენ საჩივრებს.
46. გაზარდეთ სტუდენტების ჩართულობა ხარისხის გაძლიერების მიმართულებით პროგრამის დონეზე, ასევე შეფასების პროცესშიც.
47. წაახალისეთ თვითმმართველობის წარმომადგენლები რომ მხარი დაუჭირონ სტუდენტებს აკადემიური ცხოვრების ყველა ასპექტში, არა მხოლოდ დამატებით კურიკულუმ აქტივობებში.
48. გაზარდეთ სტუდენტების ცნობადობა უნივერსიტეტის მისიის და ხედვის შესახებ.
49. ჩართეთ საერთაშორისო სტუდენტები თვითმმართველობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

50. უკეთესად დაგეგმეთ ლექტორების საკონსულტაციო საატების ბადე, რათა მიეცეთ მათ თანაბარი შესაძლებლობები.
51. იქონიეთ უკეთესად სტრუქტურირებული და ორგანიზებული დამსაქმებელთა ბაზა.
52. განაცალკევეთ პასუხისმგებლობები კარიერული მხარდაჭერის სამსახურის და სტუდენტების მხარდაჭერის სამსახურებს შორის, რათა უკეთესად მოხდეს სტუდენტების კონსულტირება და

დამსაქმებლებთან კომუნიკაცია. 53. გაზარდეთ და წაახალისეთ დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაცია სტუდენტებისთვის უფრო მეტი თანაბარი შესაძლებლობების და საინფორმაციო რესურსების უზრუნველყოფით. 54. მხარი დაუჭირეთ სტუდენტებს რათა მათ მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ და ასევე, საერთშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. 55. გაზარდეთ სტუდენტების და პროფესორების ცნობადობა საკონსულტაციო სერვისების მნიშვნელობის და მიზნის შესახებ 56. გაზრადეთ კარიერული მხარდაჭერის სერვისის საქმიანობა, მისი რეორგანიზებით. 57. შექმენით საერთაშორისო პროექტების /სემინარების / კონფერენციების შესაძლებლობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: 58. გააძლიერეთ თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან. 59. განავითარეთ მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს რომ კვლევა ასევე ფოკუსირებულია რეგიონალური და საერთაშორისო მიმართულებით. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაწყებულია სამუშაოები რეკომენდაციის შესასრულებლად შემდეგი კუთხით:

აკადემიური პერსონალის მიღწევებისა და კვლევითი ცენტრის დირექტორის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით მოხდა კვლევითი პრიორიტეტების გამოყოფა, ამავდროულად კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრისას უნივერსიტეტმა გამოიყენა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ განსაზღვრული კლასიფიკატორი და კვლევით პრიორიტეტებად განსაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ბიოლოგიის მეცნიერებები, სხვა საბუნებისმეტყველო მეცნირებები;
2. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნირებები: ჯანმრთელობის მეცნირებები, კლინიკური მედიცინა, სამედიცინო ბიოტექნოლოგია, მედიცინის სხვა დარგები;
3. სოციალური მეცნირებები: ფსიქოლოგია, ეკონომიკა და ბიზნესი, განათლების მეცნირებები, სამართალი, პოლიტიკური მეცნირებები
4. ჰუმანიტარული მეცნირებები: ენათმეცნიერება და ლიტერატურა, ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია, სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები.

უნივერსიტეტში ვიზიტის დროს დაგეგმილი ინტერვიუ კვლევითი ცენტრის დირექტორთან არ შედგა მისი არყოფნის გამო და მის მიერ წარმოდგენილ კონცეფციაზე დეტალური ინფორმაცია არ იქნა მიღებული.

რაც შეეხება კვლევის ბიუჯეტს, უნივერსიტეტმა გაზარდა ფინანსები კვლევის მიმართულებით. 2020 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი იქნა კვლევითი საქმიანობაზე 41500 ლარი, რომელთაგან 21200 დაიხარჯება უშუალოდ შიდა საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პროექტებზე. კერძოდ, უნივერსიტეტმა ჩაატარა კონკურსი, წარმოდგენილი იყო 5 პროექტი, რომელთაგან დაფინანსდა 3 პროექტი:

1. „საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი შემცირების გზები (ქვემო ქართლის მაგალითზე)“. კვლევა განხორციელდება ა(ა)იპ „ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემიასა“ და .ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან ერთობლივად.
2. „პრეპარატ კამელინის ქიმიური შემადგენლობის შესწავლა და მისი გავლენა ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე“. დაგეგმილია კვლევის ერთობლივად გაკეთება ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრსა და კომპანია კამელინთან.
3. „პლასტმასის მოსახსნელი პროთეზის ბაზისის სადენზინფექციო საშუალებების კრიტიკული პარამეტრების შედარებითი დახასიათება“.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული პროექტებიდან 2–ის ხელმძღვანელი კვლევითი ცენტრის დირექტორი და ცენტრის სპეციალისტია, რომელთა ერთ–ერთი ფუნქცია კვლევების შეფასება და მონიტორინგია, რაც შესაძლებელია განხილული იქნეს ინტერესთა კონფლიქტად, თუმცა სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ამ საკითხში პრობლემას ვერ ხედავს. ასევე აღსანიშნავია, რომ პროექტებიდან მხოლოდ 1-ის ხელმძღვანელი არის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, დანარჩენი 2 თემის ხელმძღვანელი კი მოწვეული აკადემიური პერსონალია.

კვლევები ძირითადად ფოკუსირებულია ადგილობრივ პრობლემებზე და ნაკლებად ითვალისწინებს რეგიონულ ან საერთაშორისო ინტერესებს. თუმცა, მეორე რეკომენდაციის შესრულებისათვის სასწავლო უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმები რუმინეთის და გერმანიის უნივერსიტეტებთან და ასევე მოლაპარაკებების პროცესშია პოლონეთის უნივერსიტეტთან. ამდენად, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაციების შესრულება დასაწყის სტადიაზეა და დიდი ძალისხმევა ჭირდება საერთაშორისო დონის მისაღწევად.

ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორს მიღებული აქვს DAAD-ის გრანტი (DAAD Research grant for University Academics and Scientists), რომლის ფარგლებში დაგეგმილი იყო ვიზიტი გერმანიაში, თუმცა პანდემიის გამო ვიზიტი გადაიდო.

შესაბამისად, რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები;
- კვლევითი პროექტის განაცხადები:
- აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება შიდა გრანტების სისტემით კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების შესახებ (დანართი 6);
- რექტორის ბრძანება საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების შერჩევისა და დაფინანსების შესახებ (დანართი 7);

რეკომენდაციები:

- კვლევების შეფასებისათვის რეკომენდებულია გამოყენებული იქნეს გარე შეფასების მექანიზმი და ასევე საჭიროა, რომ კვლევა მეტად იყოს ფოკუსირებული რეგიონალურ და საერთაშორისო პრობლემებზე და შეიცავდეს სამეცნიერო ღირებულებასა და სიახლეს.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

60. აქტიურად გამოიყენეთ ყველა განსაზღვრული მექანიზმი პერსონალის მოტივირების მიზნით.
61. შეუსაბამეთ სტრატეგიულ ამოცანებს კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიმართულებით შესაბამისი ფინანსური რესურსები.
62.რეგულარულად შესთავაზეთ აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო კვალიფიკაციის განმავითარებელი აქტივობები.
63. განავითარეთ მექანიზმები, რათა გაიზარდოს პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი მაღალი ციტირების ინდექსის მქონე და იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალებში.
64. განავითარეთ და დანერგეთ უფრო ეფექტური მექანიზმები, რათა მოხდეს სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო აქტივობებში.
65. გააძლიერეთ თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებით ერთობლივი კვლევების მიმართულებით.
66. გააძლიერეთ თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდებთან.
67. უფრო აქტიურად გამოიყენეთ მექანიზმები, რომ მოიზიდოთ ახალგაზრდა კვალიფიცირებული აკადემიურიპერსონალი.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შექმნილია კვლევებისა და განვითარების ცენტრი, რომლის მთავარი ფუნქცია და პასუხისმგებლობაა უსდ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა, პერსონალის მხარდაჭერა, კონფერენციებისა თუ საჯარო ლექციების მოწყობა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის

გაუმჯობესება, რაც გაწერილია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში. კვლევითი საქმინაობისათვის ბიუჯეტი მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ და 2020 წლისათვის განსაზღვრულია 40500 ლარით, რომელთაგან აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – 21200; საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების ხარჯები – 6100; სტუდენტთა კვლევითი აქტივობები – 13200 ლარია.

როგორც ინტერვიუდან გაირკვა, თითოეული პროექტის მაქსიმალური დაფინანსება განსაზღვრულია 10000 ლარით, თუმცა ერთდრობლივად დაფინანსებული 3 პროექტის ღირებულებაა 21200 ლარი. უნივერსიტეტი აფილირებულ პირს უპირატესობას მიანიჭებს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა მხოლოდ 1 კვლევის ხელმძღვანელია უსდ-ს აფილირებული პროფესორი და დანარჩენი 2 კი მოწვეული პერსონლია, რომელიც ასევე სხვა უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალია. აღნიშნულ კველევებში ჩართული იქნება 16 სტუდენტი, რაც ფაქტიურად მცირე ნაწილია სტუდენტური კონტინგენტის.

რაც შეეხება კონფერენციებში მონაწილეობას და შეხვედრების მოწყობას, სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისა და კვლევითი ცენტრის ორგანიზებით 2020 წლის 8 ივლისს ჩატარდა სტუდენტური ონლაინ კონფერენციები: 1. „ეკონომიკისა და ბიზნესის პრობლემები და გამოწვევები კოვიდ პანდემიის ფონზე"; 2. „სამართლის აქტუალური საკითხები პანდემიის პირობებში".
ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მხარდაჭერით 12 ივნისს გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „ინფლაციის თარგეთირება და ფასების სტაბილურობა" (საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური კვლევების განყოფილების უფროსი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მრჩეველი - შალვა მხატრიშვილი).

ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანმა 25 და 26 ივნისს მონაწილეობა მიიღო ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის (ფრანკფურტ ოდერი, გერმანია) კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის (Viadrina Center for Graduate Studies at Europa-Universität Viadrina) მიერ გამართულ ონლაინ ვორკშოპში, თემაზე: „დროის მენეჯმენტი და თვითმენეჯმენტი მეცნიერებაში".

ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ერთ–ერთ აკადემიურ პერსონალს და რამოდენიმე სტუდენტს დაუფინანსდა მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა თბილისში სასტუმრო ბილტმორში. ინტერვიუს პროცესში გამოირკვა ასევე, რომ პროფესორმა, რომელმაც გამოაქვეყნა საერთაშორისო ჟურნალში სტატია მიიღო ფინანსური წახალისება.
თჰუ პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად უნივერსიტეტმა გამოყო ბიუჯეტი მინიმუმ 2 პერსონალის სამეცნიერო მივლინების დასაფინანსებლად (4000 ლარი), თუმცა სავარაუდოდ სამივლინებო ბიუჯეტი სრული დაფინანსების შემთხვევაში ქვეყნის გარეთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად 2 პერსონალს არ ეყოფა. პერსონალის შერჩევა დამოკიდებულია თემის აქტუალობასა და სამეცნიერო–კვლევით პრიორიტეტებზე.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პერსონალის კვლევითი პოტენციალის გასაზრდელად დაგეგმილია პერსონალისთვის ტრენინგების მოწყობა, რომელზეც განხილული იქნება კვლევის შედეგების ანალიზისა და სტატიის მომზადების ასპექტები, რაც საჭიროა იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად.

უსდ-ს გეგმაში განსაზღვრულია არანაკლებ 2 კონფერენციის და არანაკლებ 2 საჯარო ლექციის ჩატარება, თუმცა ფაქტიურად ჯერ–ჯერობით ვერ მოხერდა ამ გეგმის შესრულება.

2020 წლის ოქტომბერში დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება ტურიზმის ბიზნესის მიმართულებით, თუმცა ვიზიტის დროისათვის კონფერენციის სპიკერების მიერ თემის ზუსტი სათაურები და გეგმა არ იყო მოწოდებული.

ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტის მიერ გადადგმული იქნა შემდეგი ნაბიჯები: გაფორმდა მემორანდუმები რუმინეთის (პიტესტი), გერმანიის (აშფენბურგი), პოლონეთის (ბიდგოში) უნივერსიტეტებთან. მემორანდუმების ფარგლებში უნდა მომხდარიყო ერაზმუს პროგრამის დაფინანსებით 1 სტუდენტისა და 1 აკადემიური პერსონალის მობილობა. თუმცა, ეს მობილობა ვერ განხორციელდა პანდემიის გამო და გადატანილია შემოდგომაზე.

რეკომენდაციები შესრულებულია ნაწილობრივ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. http://thu.edu.ge/n350;
2. თჰსუ-ს სამეცნიერო მივლინების დაფინანსების წესი (დანართი 17);
3. თჰუ-ს 2020 წლის ბიუჯეტი (დანართი 4);
4. შიდა სამეცნიერო გრანტის დაფინანსების სისტემა (დანართი 6);
5. ინტერვიუს შედეგები;
6. http://thu.edu.ge/n221;
7. http://thu.edu.ge/n323;
8. http://thu.edu.ge/n321
9. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა 2019-2021 (დანართი 2).

რეკომენდაციები:

- შეუსაბამეთ სტრატეგიულ ამოცანებს კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიმართულებით შესაბამისი ფინანსური რესურსები.
- გააძლიერეთ თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებით ერთობლივი კვლევების მიმართულებით.
- გააძლიერეთ თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდებთან.
- უფრო აქტიურად გამოიყენეთ მექანიზმები, რომ მოიზიდოთ ახალგაზრდა კვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

68. ფოკუსი გააკეთეთ სამეცნიერო კვლევების თვისობრივი შეფასების ნაწილზე, ასევე, სრულყოფილი ანალიზისა და განვითარების ინდივიდუალურრეკომენდაციებზე.
69. ჩაატარეთ კვლევები და ანალიზი ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია შიდასაგრანტო კონკურსის ჩატარების წესი და დაგეგმილია თვისობრივი შეფასების ჩასატარებლად თანამედროვე მეთოდების მოძიება და დანერგვა. თუმცა, როგორც

ინტერვიუდან გაირკვა, თვისობრივ და ხარისხობრივ შეფასებაზე გადასვლა შორეული პერსპექტივაა და თვლიან, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა პერსონალის ტრენინგები მაღალი დონის ჟურნალებში სტატიების მოსამზადებლად და გამოსაქვეყნებლად. ასევე ფიქრობენ, რომ მომავალში პარტნიორ უნივერსიტეტებთან მჭიდრო კავშირის შედეგად მათი გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას. ამ ეტაპზე დაგეგმილი აქვთ მხოლოდ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის პერიოდულად შეფასება შემდეგ ინდიკატორებზე დაყრდნობით: „ანგარიშგების გზით მიღებული ინფორმაცია, პირველადი მონაცემების წყაროები: Scopus; Google Scholar; Web of Science / Book Citation Index; კოლეგების, აგრეთვე დამოუკიდებელ მკვლევართა შეფასებები“. სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ღრმა ანალიზი ყველა სტრუტურული ერთეულის ჩართულობით არ ჩატარებულა. **რეკომენდაციები შესრულებულია ნაწილობრივ.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. შიდა სამეცნიერო გრანტის დაფინანსების სისტემა (დანართი 6); 2. ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • ფოკუსი გააკეთეთ სამეცნიერო კვლევების თვისობრივი შეფასების ნაწილზე, ასევე, სრულყოფილი ანალიზისა და განვითარების ინდივიდუალურ რეკომენდაციებზე. • ჩაატარეთ კვლევები და ანალიზი ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: 70. მნიშვნელოვანია, რომ უზურნველყოთ კაფეტერიის მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

71. კომპიუტერული ბანკი და საოპერაციო სისტემა (ვინდოუს XP) საჭიროებს განახლებას ახლავე.
72. ვებგვერდი უნდა დაიხვეწოს.
73. სტუდენტების პორტალი უნდა იყოს ინტეგრირებულო სასწავლო პროცესთან და შეფასებასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.

○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. ○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ფსიქოლოგია	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავრი (0707)	240	აკრედიტებული	25.08.2018, №119
2	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	ქართული	ერთწლიანი	60	აკრედიტებული	23.06.2017, №33
3	სტომატოლოგია	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი (090201)	300	აკრედიტებული	07.12.2018, №201
4	სტომატოლოგია	რუსული	დიპლომირებული სტომატოლოგი (090201)	300	ავტორიზებული	02.12.2019, №43

5	სტომატოლოგია	ინგლისური	დიპლომირებული სტომატოლოგი (090201)	300	ავტორიზებული	02.12.2019, №43
6	ფარმაცია	ქართული	ფარმაციის ბაკალავრი (0903)	240	აკრედიტებული	23.06.2017, №32
7	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი (06)	240	აკრედიტებული	12.07.2018, №200
8	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)	240	ავტორიზებული	02.12.2019, №43
9	ბიზნესის ადმინისტრირება	რუსული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)	240	ავტორიზებული	02.12.2019, №43
10	ტურიზმი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (1120)	240	აკრედიტებული	25.08.2016, №118